№ 116. 7 ივნისი, კვირა. 1866—1881 7 ივნისი, კვირა. № 116.

რედაქცია

გალავნის ბრიგადა №1-ში. ივ. მუხრანელის ხახლები-ში ალუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაზ“ „იგერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაზ-იგერიის“ აგენტთან ი. ჭეონიანთან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროებაზ“-„იგერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
„დროებაზ“ და „იგერიაზ“ ერთად	14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე „დროებაზ“	9 მან.	5 მ.	3 მ.
ცალკე „იგერიაზ“	7 მან.	4 მ.	2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ნეგულუბრივ ასოთ-მოკვრულით ასოზე ნახევარი კაპ., „ნეგულუბრივ“ ასოთ-ასოზე შეოთხედი კაპ.

თუ ხაჭიროება მოითხოვს, რედაქცია კაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უფასოთ გერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაზ“-„იგერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ დიაბ 5 კაპ.

არწრუნის თეატრში

აბონიმენტის რიცხვში

კვირას, 7 ივნისს

ქართული დრამატიული ტრუპისაგან წარმოდგენილი იქმნება:

თამარ - ბატონიშვილი

ხუთ მოქმედებიანი დრამა XIII საუკუნის ცხოვრებიდგან, მრ. რჩეულოვის რომანიდგან გადმოკეთებული ქ. მესხისაგან.

ქ-ნი ბარბარე პავლოვისა ითამაშებს თამარ-ბატონიშვილის როლს.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და „იგერიის“ თამბაქოს მაღაზიაში.

დასაწყისი 8½ საათზე.

1 ივნისისათვის დანიშნული „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა წლიური საერთო კრება გადადებულ-იქმნა ორშაბათისათვის, 8 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საადგილ-მამულო ბანკის სადგომში.

კრების განსასილველად იგი ვე საგნები არის დანიშნული, რაც 1 ივნისის კრებისათვის იყო, ე. ი:

ა) წასრული წლის ანგარიშის მოსმენა,

ბ) საზოგადოების ახალ წევრთა არჩევა და

გ) მომავალ წლის გასავლის სიის დამტკიცება. (2—2)

დღეს, კვირას, 7 ივნისს

ალექსანდროვის ბაღში დანიშნულია

ცოცხალ სურათებიანი და მუზიკალური

საღამო

პროგრამა: მუზიკალური ნაწილი საღამოისა შესდგება ოთხ განყოფილებისაგან, ყოველ განყოფილების შემდეგ იქნება დადგმული ცოცხალი სურათები.

ამას გარდა ბაღი იქნება მშვენიერად გაჩირაღდნებული. აქ იქნება სურათები: **ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III, გლეხების განთავისუფლება, ალექსანრე II ბიუსტი** ყვავილებით და ფოთლებით შემოსილ ცალკე კოსკში, **დ. მ. მიხაილ ნიკოლოზის-ძის** და **დ. მ. ოლგა თეოდორის ასულის** სურათები და სხვანი.

გარდა ამისა ბაღში იქნება სხვადა-სხვა ფერი ბაირაღები და ფიცრები

ზედ წარწერით იმ რეფორმებისა და დაწესებებისა, რომელიც მოხდა კავკასიაში ალიქსანდრე მეორის მეფობის დროს. დასასრულ „ზარიას“ შეასრულებს ოთხი სამხედრო მუზიკის ხოროო.

შესასვლელი ფასი 30 კაპ. მუზიკა დაიწყება 5 საათზედ, კონცერტი 8 საათზედ.

სრული შემოსავალი ინიშნება იმ ყმაწვილების თავ-შესაფარ სახლისთვის (პრიუტი), რომელიც უნდა გაიმართოს თბილისში იმპერატორის ალექსანდრე II სახელობაზედ.

თუ ცუდი ტაროსი დადგა, სეირობა დაინიშნება მეორე დღისათვის. (1—1)

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ სესენებული ბანკი იძლევა სესხს ქალაქის მამულების და სოფლის მიწა-წყლის გირაოზედ ქუთაისის და თბილისის გუბერნიაში.

სესხად მიიცემა ქალაქის მამულის გირაოზე $18\frac{7}{12}$ % ით მამულის თვისი 60 პროცენტი, სოფლ სოფლის მიწა-წყლის გირაოზე $43\frac{1}{2}$ წლით იმავე თვისის 50 პროცენტი.

$18\frac{7}{12}$ და $43\frac{1}{2}$ წლიანს სესხებზე ბანკის მოვალეს უნდა ისადოს ყოველს ნასესხარს წელს 3 პროცენტი სარგებელი და $\frac{1}{2}$ პროცენტი ბანკის მართვის სარჯების დასახურავათ, შესადგენად სადაზიგო თანხისა და სხვ., სოლო სესხის მოსასპობად: $18\frac{7}{12}$ წლიანისა $1\frac{1}{2}$ პროცენტი და $43\frac{1}{2}$ წლიანისა $\frac{1}{4}$ პროცენტი. ამნაირად წელიწადში მოვალემ უნდა ისადოს: ქალაქის მამულების გირაოში $18\frac{7}{12}$ წლით გაცემულს სესხზე 10 პროცენტი, სოლო სოფლის მიწა-წყლის გირაოში $43\frac{1}{2}$ წლით გაცემულს სესხზე $7\frac{1}{2}$ პროცენტი. გარდა ამისა დათვსების და გირაოს ფურცლების გამზადების სარჯების დასაფარავად მოვალე ერთ-დროებით ისადის სესხის რაოდენობაზე 1 პროცენტს,

ვისაც სესენებულის ბანკიდან სესხის გამოტანა ჭსურს, სესხის პირობაზე უმფრო დაწვლილებით ცნობების შესატყობელად ინებონ მისწერა: ქ ქუთაისს ბანკის სამმართველოში, სოლო თბილისს ბანკის აგენტთან თბილისის ნოტარიუს ივანე ეგნატეს ძეს ბოლტარაცგისთან.

გაცემა სესხისა და მიღება მოვალეთაგან გადითი გადასახადებისა მოხდება: ქ ქუთაისს თვით ბანკის გამგეობისაგან, სოლო თბილის ზეშოხსებულის აგენტის საშუალებით. (3—3)

ტელეგრამები

(„ხალხთა-სრიობამ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 5 ივნისს. ოფიციალურად: გუშინ ხელმწიფე თავის უანგუსტესის სახლობით გადაბძანდა საცხოვრებლათ პეტერგოფში.

კიევის სამხედრო ოლქის სამსჯავროამ გადუწყვიტა სიკვდილით დასჯა (ჩამოხჩობა) სახელმწიფო დამნაშავეებს: შჩედრინს და პრეობრაჟენსკის, მაგრამ ხელმწიფე იმპერატორის მოწყალებით იმათ ეპატიეთ სიკვდილი. ამის მაგიერ ისინი გაიგზავნებიან კატორღაში უვადოთ.

პეტერბურღი 5 ივნისს. დღეს 1 საათზე და 38 მინუტზე დიდი მთავარი მიხაილ ნიკოლოზის-ძე მობრძანდა მიხაილოვსკზე, პეტერგოფს ახლო.

საფრანგეთის სენატი და გამბეტა

ტფილისი, 6 ივნისს.

ჩვენმა მკითხველებმა იციან რა გვარი წესიც დაადგინა საფრანგეთის დეპუტატების პალატამ მომავალი არჩევანისთვის. დღემდის ყველა დეპარტამენტის ამრჩეველი მაზრები თავისთვის ირჩევდნენ დეპუტატებს და გზავნიდნენ პალატაში. ახალი გადაწყვეტილების შემდეგ დეპუტატების არჩევანში მთელი დეპარტამენტი იღებს მონაწილებას. კანდიდატთა სია წინ-და-წინ იქნება გამოცხადებული დეპარტამენტის დედა-ქალაქებში და კენჭს უყრიან მთელი დეპარტამენტის მეკენჭეები. ასე რომ ისევ ის რიცხვი დეპუტატებისა, რომელსაც დღემდის გზავნიდნენ პალატაში სხვა სხვა მაზრები, დღეის იქით ამორჩეულ და გაგზანილ იქმნებიან მთელის დეპარტამენტისაგან.

ამ გვარი დიდი ცვლილების მოხდენა მარტოთ-მარტო გამბეტის საქმე იყო. არც საზოგადოებას, არც პალატას და არც მმართებლობას არ უნდოდა ამ კანონ-პროექტის გაყვანა, როცა გამბეტამ პირველათ ამ საგანზე დაიწყო ლაპარაკი, რადგანაც ყველანი ფიქრობდენ, რომ ამ გვარ არჩევანში ადვილათ შეეძლოთ მონარხიის მომხრეთა მიეღოთ უმრავლესობა, როგორც პლებისციტში, და ადრე თუ გვიან დაემხოთ რესპუბლიკა. მაგრამ გამბეტა დარწმუნებული იყო (და ბოლოს პალატაც დაარწმუნა), რომ ეს უსაფუძვლო შიში იყო და „ყოველის შემძლებელმა“ პალატის პრეზიდენტმა ამ გვარი უსაფუძლო შიშის მოსასპობლად მოიხმარა რაც

რამ გავლენა ჰქონდა საფრანგეთში მისს სახელს, ორატორულ ნიჭს და ბრძნულ პოლიტიკურ ტაქტს და ბოლოს დეპუტატთა პალატამ, საცა გამბეტამ წარმოთქვა ერთი დიდათ შესანიშნავი სიტყვა, მიიღო ეს კანონ-პროექტი...

გამარჯვების შემდეგ გამბეტა წავიდა ქაჰორს, თავის სამშობლო ქალაქში, საცა ის იყო მიპატიჟებული იქაური საზოგადოებისაგან. ამ მოგზაურობას ერთობ დიდი ხმაურობა დაჰყვა; ყველგან საცა კი უნდა გაევლო გამბეტას, ხალხი ათასობით იკრიბებოდა და იყო ერთი დაუცხრომელი ყვირილი: „გაუმარჯოს გამბეტას!“ ასე რომ ერთმა ნიჭიერმა პარიჟის მწერალმა ალბერ ვოლფმა მართლა დაამგვანა გამბეტის მოგზაურობა ნაპოლეონ III-ს მოგზაურობას, მარტო იმ განსხვავებითო, სწერს კალამ-მახვილი ვოლფი, რომ ამ მოგზაურობას და ოვაციებს აკლდა ძველი ინვალიდი, რომელიც ნაპოლეონ III-ის მოგზაურობის დროს ჰყვიროდა ხალხში: „აბა ერთი ენახო ჩემის თვალებით სად არის ძმისწული ჩემის დიდის იმპერატორისა!“ როგორც ნაპოლეონს, თუ არ უფრო, გამბეტას პარიჟიდამ მარტო გაჰყვა ას ორმოც-და-ათი კორრესპოდენტები, რომელნიც ყოველ დღე ტელეგრაფით აცნობებდენ პარიჟს—სად და როგორ მიიღეს, სად რა სთქვა, სად რა ჭამა და სვა გამბეტამ. ერთი სიტყვით ქაჰორში გამბეტამ მიაწია თავის დიდების უმაღლეს ხარისხამდის...

მაგრამ შინ, სენატში, იმას ულესავდენ ისარს, რომელსაც უნდა მოეწამლა მისი თავ-მოყვარეობა. როგორც ზოგიერთნი ამბობენ, ამ ოვაციებისაგან შეშინებული და გაჯავრებული სენატორები, უიმისოთაც კანონ-პროექტით აკმაყოფილონი, ხმის უმრავლესობას უმზადებდენ მისი კანონ-პროექტის წინააღმდეგ, და ეხლა, როგორც მოგვიტანა ამბავი გაზეთებმა, 140 სენატორს 114-ს წინააღმდეგ ვადუწყვეტია, რომ ეს კანონ-პროექტი არ იქნას მიღებული.

ეს პირველი არ არის (და ეგებ უკანასკნელი იყოს) პალატასა და სენატს შორის განხეთქილება. გამბეტა ძლეულ—იქნა სენატში; მაგრამ ძალი და გავლენა კი იმას ამით არ დაჰკარგვია. იმას შეუძლია ისე შეაიწროვოს მმართებლობა, რომ ყოველ თვეში თითო კაბინეტის გამოცვლა იქმნას საჭირო, სანამ მმართებლობა არ დაითხოვს პალატებს, ხელ-

ახლა არ იქმნება არჩევანი და ეს ახლათ არჩეული დეპუტატები ხელ-ახლა არ გაიყვანენ ამ კანონ-პროექტს, რომლის მეორეთ გარჩევა ექვს თვეზე ადრე შეუძლებელია.

ყოველ შემთხვევაში ძნელია წინ-დაწინ სთქვას კაცმა—რა შედეგი მოჰყვება ამ ორს პალატას შუა განხითქილებას. ეხლავე სწერენ გაზეთებში სამინისტროს დარღვევას, სენატის გაუქმებას, ზამბეტას პრეზიდენტობისგან უარის თქმას, პალატების ადრე დათხოვნას და კონსტიტუციის განხილვას, მაგრამ ნამდვილი ჯერ არაფერი ვიცით ამაებზე. ხალხთა—შორის საგენტოსს ტელეგრამმები არაფერს არ გვატყობინებს ამ საქმეზე. თითონ სენატის გარდაწყვეტილება გაზეთებმა შეგვატყობინა ორი კვირის შემდეგ...

ლ.

სოფლის მასწავლებლის შენიშვნა

ეს ოთხი წელიწადი გადის, რაც ერთ სოფლის მასწავლებლად ვარ და არავითარი საყვედური არ გამიგონია საზოგადოებისაგან შესახებ სწავლისა. ამას დიდ ბედნიერებად ვრაცხ; მაგრამ უბედურება ის არის, რომ ზამთარში ნაჭინახულევი მოსწავლეები ზამხულში აღარ მრჩებიან ხელში. ვსთქვათ, მთელ ზამთარში თითქმის განუწყვეტლივ მყავდა უფროს განყოფილებაში შვიდი მოსწავლე, ეხლა კი ერთის მეტი არ მრჩება, ისიც კვირაში ხან ორ დღეს დააკლდება ხოლმე გაკვეთილს და ხან სამს.

შესანიშნავი არის, რომ საზოგადოდ ყველა განყოფილებაში უკეთესები აკლდებიან და სუსტები კი რჩებიან; ათ მოსწავლეში თუ ხუთი ან ექვსი უმჯობესია, იმ ექვს უმჯობესში რჩება ორი ან ერთი და დანარჩენთ შემდეგ ზამთრამდის ვერ იხილავ კლასში.

რისთვის? მისთვის რომ ზოგი მეხრეთ სჭირდება თავის მამებს, ზოგმა სადილი და ზარმელი უნდა წაუღოს მუშებს ყანაში თავ-თავის დროზე და ზოგი სხვა შინაური საქმეში ეხმარება მშობლებს.

ბულს ის მიკლავს უფრო, რომ ნაცვლად ნასწავლებისა უსწავლელები მრჩებიან ხელში. რა კი გაზაფხული დაიწყება, იწყებენ გლეხები პატარა ბავშების მოყვანას, რომლების ანბანის სწავლას უნდა შეუდგე, რომელიც სეკტემბრის თვეში უნდა შემესრულებია.

ერთად რომ მოყავდეთ, კიდევ კარგი; უბედურება ისაა, რომ ერთს რომ დღეს მოიყვანს ვინმე, მეორეს მეორე კვირაში და ამ ნაირად. დავასწავლი ანბანს და სიტყვების შებმას ახლად შემოყვანილს თუ არა, იქ სხვა ახალი მოსწავლე ამომიჩნდება, რომელსაც, რასაკვირველია, ვალი მაქვს უნდა ვასწავლო ისე, როგორც სხვებს და ამ ნაირ მოსწავლეების უსაზღვრო მიღებას დასასრული აღარ ეძლევა.

როდესაც ვეტყვი გლეხსს რომ ადრიანათ რასთვის არ მოიყვანე-მეთქი, მომიგებს:

„—პატარაა და ცუდ დარებში სიარული არ შეუძლია, ზამხულში კი გზები მშრალია და ცოტა რამეს შეისწავლის!“

არც წესდებას და არც მთავრობას სამზღვარი, ვადა არ დაუნიშნავს სკოლაში მისაღებად.

მართალია, ეს უდროოთ შაგირდების მიღება არც ჩემთვის არის სარგებელი და არც მათთვის; მაგრამ რომ არ მიიღო, მეორე დღეს მთელი სოფლის ყრილობა ერთად დაიყვირებს:

— ბავშვები შევიყვანეთ კლასში და მასწავლებელმა არ მიიღო, ჯამაგირს ტყუილათ გვახდევინებს და, თუ კი ჩვენ ბავშებს არ მიიღებს, ჯამაგირს რათ მივცემთო!!

ეს, რასაკვირველია, მასწავლებლის ყურში დიდათ სამწუხარო გასაგონია და, ამისთვის, მიუღებლობას მიღება გვირჩევნია, რაც უნდა დაგვემართოს.

რომ იცოდეს ვინმემ გარკვევით, თუ რა ნაირ და რამდენ სხვა გაჭირვებაში ვართ ზოგიერთი სოფლის მასწავლებლები, ცოტა ყურადღებას მაინც მოგვაქცევდნენ; მაგრამ სანამ თავის თავზე არ გამოცდის კაცი, მანამ სხვის გაჭირებას არ დარწმუნდება.

ჩამოდიან ი დალოცვილი ჩვენი ზედამხედველები და თუ მთელი პროგრამმა რიგიანათ არა აქვთ ყმაწვილებს შესრულებული, დიდად გვიჯავრდებიან, და იმის გაგება კი არ უნდათ, თუ რა მიზეზისათვის ვერ შეასრულეს.

ჩიბათის სოფლის მასწავლებელი.

ახალი ამბები.

რუსულ გაზეთებში, როგორც გარდაწყვეტილ საქმეს, ისე, იწერებიან, რომ კავკასიის მთავარ-მმართებლად ოდესის ახლანდელი ღენერალ-ღუბერნატორი ღენ.-ადიუტ. თ. დანდუკოვ-კორსაკოვი დაინიშნებაო.

თ. დანდუკოვ-კორსაკოვმა ბოლგარიაში ყოფნის დროს და ახლაც ოდესის ღენერალ-ღუბერნატორობაში ისეთი კარგი სახელი და ხალხის თანაგრძნობა დაიმსახურა, რომ იმის დანიშვნა კავკასიის მთავარ-მმართებელად, უეჭველია, ყველასთვის ჩვენში სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

***

ფოთი-თბილისის რკინის გზის სტანციებიდამ საჩივრები მოგვდის იმ მოსამსახურე პირებზე, რომელთაც საქონლის მიღება და გაგზავნა აქვთ მინდობილი; ვანსაკუთრებით, თუ გლეხს ვისმე აქვს საქონელი რკინის გზით გასაგზავნი, ხშირად სამ-ოთხ დღეს უნდა სდიოს, ეხვეწოს და პატივი სცეს ამათ, რომ ინებოს და მიიღოს გასაგზავნი საქონელიო. განსაკურებით უვირილის სტანციის საქონლის მიმღებზე მოგვდის ხშირი საჩივარი.

ურიგო არ იქნება, რომ ფოთი-თბილისის რკინის გზის გამგეობამ ამგვარ საჩივრებს მიაქციოს ყურადღება და ჩააგონონ თვის მოხელეებს, რომ რკინის გზა და იმაზე მოსამსახურე პირები ხალხისათვის არიან და არა ხალხი იმათთვის...

***

ახეთიდამ იწერებიან, რომ ამ ივნისის დამდეგს ბალმა-მხრისაკენ სეტყვა ყოფილა და ზოგიერთ სოფლებში, მაგ. შაქრიანში და ქონდოლში ვენახები და ყანები დაუზარალებია.

***

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ დაბეჭდილი პატარა შენიშნვა იმ უწესოების თაობაზე, რომელიც, ჩვენის კორრესპონდენტის სიტყვით, ჰსუფევს ქუთაისის საკათედრო სობოროს წმ. სანთლის ვაჭრობაში და ეკონომიურ გამგეობაში. ჩვენ შევიტყეთ ახლა, რომ სინოდალის ანტორას მიუქცევია ამ საგნისათვის ყურადღება და იმერეთის ეპარქიალურ მთავრობისათვის წინადადება მიუცია, რომ ეს გარემოება გამოიკვლიოს.

ქართული ენა თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში.

მოკეთეს პირში უძრახვენ,
მტერს პირს უკასო.

ქართული ანდაზა.

წმ. ნინოს სასწავლებელი გაიხსნა თელავში, ვგონებ, 1865 წელს. პირველი უფროსი სასწავლებლისა იყო რუსის ქალი. სხვა მასწავლებლები წინაპირველად არც კი ყოფილან მოსწავლე ქალთა სიმცირისა და მოუმზადლობისა გამო. რასაკვირველია, ეს ერთად-ერთი ქალი, რომლის ხელშიაც იყო სამასწავლო და საკვებო (ეკონომია) ნაწილიც და რომელმაც არ იცოდა ქართული ენა, ყველაფერს დაიწყობდა და წაიყვანდა რუსულად: რუსული ენა, რუსული ქცევა, რუსული სმა, რუსული ჭამა, რუსული თხოვნა და სხვ.

ქართულს ენას ამისთანა დროს და გვამის ხელში ადგილი არ ექმნებოდა და ნამდვილადაც არა ჰქონდა. მაინც

«დროების» ფელეტონი, 7 ივნისს.

მოგზაურობა ახეთში *)

შუა-მთის მონასტრის ჩრდილოეთით ტყეში მოიპოვებიან ნანგრევები ციხეებისა, ეკლესიებისა და სხვა. ამ ნანგრევებ შორის და გარშამო ტყეში იზრდება მრავალი ხე-ხილები ყველაფერი სჩანს, რომ ამ ადგილში ერთ დროს ყოფილა ან დიდი სოფელი ან ქალაქი. შიგვე ციხეებში არიან პატარა ეკლესიები, რომელნიც სიგრძით ძლივს იქნებიან ორ-ორი ალაბი, სიგანით ერთ-ნახევარი, სიმაღლით სამი ალაბი. იყო აქ ქალაქი, ან სოფელი? რა ერქვა? რადროს დაიღუპა და როდის მიეცა მიეწყებას? —ისტორიამ, რომელმაც ჯერ აქნობამდის არც ერთი სიტყვა არ იცის ამ ნანგრევების არსებობის შესახებ, უნდა მოგვცეს ამის პასუხები. ნანგრევების ჩრდილოეთის მხრით, მდ. თურდოს მაღალს მარცხენა კიდეზე, მოჩანს ეკლესია (ახალი მონასტრიდგან მეოთხედ ვერსტის სიშორეზე) წმ. შიოსი. ეკლესია პატარაა, მსგავსი ზემოხსენებულ ეკლესიებისა.

წმ. შიოს ეკლესია დაბალი ხეტყით არის მოცული და შიგ შესვლა ზაფხულის დროს საშიშია, რადგან იქ ქვემძრომები ბუდობენ. ეს ღელე თითქო კაცს ჩამოუჭრიაო. ძირში ჩარბის თურდო და ამის პირიდგან რამდენიმე ალაბის სიმაღლეზე არის კარები. ეს კარები იმ ოთახებისაა, რომელნიც გამოქვაებული არიან შიგ ამ ღელის კიდეში. შორიდგან და ახლოდგანაც მრავალი კარები დაინახება; მათში შესვლა ძნელია, რადგან გზა არსაიდგან არა აქვთ. უწინ, თურმე, შედიოდ-გამოდიოდნენ მცხოვრებნი თოკების კიბეებით. ამბობენ ბეჯითად, რომ ეს გამოქვაბული არის ბერების სენაკები, რომ აქ უწინდელ დროში სცხოვრებდა 600—700 ბერი, რომ კიდეზე მყოფი ეკლესია მონასტრის ეკლესია იყოო, რომ ბერები ყაჩაღიანობის და შიშიანობის დროს იმალებოდნენ ამ უგზო-უკვლო სენაკებში და ღამე კი გამოდიოდნენ სალოცავად ეკლესიაშიო. ზოგი ამბობს, რომ ეს არის უწინდელი ქალაქი, რომლის ნიმუშად აქამდე დარჩომილა შფლის-ციხე, ვარძია და სხვ. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერც ერთი მოსაზრების დასამტკიცებელი საბუთები ჩვენ ვერ ვპოვეთ ჩვენს ისტორიაში, და ყველა მოსაზრებანი მოსაზრებადვე დარჩებიან იმდროამდის, მინამ ჩვენი მეცნიერნი არ შეუდგებიან ჩვენის ისტორიის საბუთებიანად შესწავლას და არ დაგვანახვებენ ჩვენ შესანიშნავ წინაპრების ცხოვრებას; მინემ არქეოლოგიური საზოგადოება არ მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას ამ ადგილთადმი.

V

13 აპრილს ჩვენ გავემგზავრეთ იყალთოსა და ალავერდისკენ.

წმ. შიოს მთის წვერზე თურდოს ღელიდგან რომ ამოვედით, ჩვენ წინ გაიშალა ეგრედ-წოდებული „ალაზნის ველი.“ როგორც მშვენიერი სურათი კაცს აღტაცებაში მოიყვანს და გაამტერებს, ისე ვიყავი დიდხანს გამტერებული და ისეთი ღიდი შთაბეჭდილება ჰქონდა ჩემზე ამ სურათს, რომ მე რამდენიმე წუთს ხმა ვერ ამოვიღე. მთელი ჩემი არსება მხედველობად და ერთ გრძნობად გარდიქცა..

ათი ვერსის სიშორეზე ჩრდილოაღმოსაელეთის მხრით კავკასიონი, თავის შაქრის თავებივით ამწვეტებულ

---

*) „დროება“, № 115.

საზოგადოება მკაცრად ვერ მოექცეოდა ახლად-დაარსებულს სასწავლებელს, როდესაც სხვა პიროობანი ხელს არ უწყობდნენ, გამჩხრეკელის და დამფასებელის თვალით ვერ შეჰხედავდა. ჩვენმა საზოგადოებამ ცუდად ჯდომას ცუდად შრომა დაამჯობინა. საქმე იმაში იყო, რომ ჩვენ ქალებს სწეველის უფლება მიენიჭათ, იმაზედ ხმას ვინღა ამოიღებდა, რას, როგორ და ან რა ენაზედ ასწავლიან.

თუ ჭკუაში მოუვიდა ვისმე ქალთა სასწავლებლის გახსნა თელავში, ალბათ ისიც მოუვიდოდა, თუ რა უნდა ასწავლონ ქალებს,—ფიქრობდა საზოგადოება, — რაღა საჭიროა მაგ-კითხვის გამოკვლევაო.

ბავიდა ხანი და ერთ კლასს მეორეც მოემატა, სასწავლებელს თავის საკუთარი სახლი არა ჰქონდა, ესეც გაიკეთა იმ სახლებში, რომელშიაც სცხოვრებდა ჩვენი „პატარა ქახი“, მეფე ერეკლე მეორე და სადაც ამ ქახეთის გმირმა დალია სული 11 იანვარს 1798 წ. ამ ახალ სახლებში გადმოვიდა სასწავლებელი 1867 წ. დიდის სიხარულით, დაფა-ზურნით და ტანცი-მანცებით.

ახალი ქალთაგან უფროსიც ამავე წარმატების დროს დაენიშნათ ქბ. ბარბარე მიხეილის ასული თურქისტანოვისა. ეხლა მასწავლებლები გამრავლდნენ, საგნებს ასწავლიდნენ აქაურისაევე სამაზრო (ეხლა საქალაქო) სასწავლებლის მასწავლებელნი. თუმცა ზოგიერთმა მათგანმა ქართული ენა საკმაოდ იცოდნენ და შეიძლებდნენ კიდეც მის სწავლებას, მაგრამ ქართული ენა უარ-ყოფილ შეიქმნა. რუსულის მოდა გახლდათ და ქართულს ვინღა იკადრებდა...

ამ საცოდავ მდგომარეობაში იყო ქართული ენა და ყოველივე ქართული აღნიშნულს სასწავლებელში, ვგონებ, 1872 წლამდის.

ეხლა კი, არ ეიცი რა საბუთით, ქართულ ენასაც აღირსეს, რომ ისიც გარეულიყო სასწავლებელში შემოღებულ რუსულ საგნებში, მაგრამ ისე კი რომ ამას ხმა არ დაეძრა თავის პიროვნულს და შთამომავლობითს ღირსებაზედ, რადგან ეს დაასახეს უსუსურ ბავშვათ რომელსა კანონები ხმის უფლებას არ აძლევენ. ქართულ ენას უთხრეს: შენ მოგეცა ადგილი სასწავლებელში იმ საბუთით-რომ შენგნით ისარგებლოს რუსულმა ენამ, ამისთვის მასწავლებელმა ქართული ენა უნდა შეასწავლოს ქართველ ქალებს ქართული სტატიების თარგმნით რუსულს ენაზედ.

აიღებდა მაგ. ქალი პ. იოსელიანის ქართულ გრამმატიკას და სთარგმნიდა რუსულად მასწავლებლის შემწეობით ამ გვარადვე სთარგმნიდნენ სტატიებს „დედა ენიდამ“ და „ბუნების კარიდამ“ და ამას ეწოდებოდა ქართული ენის შესწავლა.

საქართველოს ისტორიასაც შესანიშნად ასწავლიდნენ ამ დროს: ვიღაცა გარუსებულ ქართველს მიელო უანგარო შრომა და უფროსის ბრძანებით შეედგინა საქართველოს ისტორია რუსულს ენაზედ, წარედგინა ვისდამიცა ჯერ იყო და შემდეგ დამტკიცებისა თელავის განათლების მინისტრის მიერ, დაეწყო ამის კითხვა სასწავლებელში. ამას ეწოდებოდა საქართველოს ისტორიის შესწავლა. ჩვენ სახეში არა გვაქვს მხოლოდ ენა, არამედ უმეტესად შინაარსი ამ ისტორიისა. რა ისტორია უნდა ყოფილიყო და ან რა მასწავლებელი საქართველოს ისტორიისა, როდესაც ქალებს აზეპირებინებდნენ: „ვახტანგ მე-VI, სჯულის მდებელი, იყო შვილი ვახტანგ პირველისა ზორგასლანისა; საქართველო შეუერთდა რუსეთს ანდრია ბოლოლიუბსკის დროს; შოთა რუსთველი იყო თანამედროვე ერეკლე II-ისა; თამარ მეფე და დავით მეფე ალმაშენებელი იყვნენ და-ძმანი და სხვ. და სხვ.“

ამას ეწოდებოდა შესწავლა საქართველოს ისტორიისა!

ამისთანა დამახინჯებულს მდგომარეობაში იმყოფებოდა სამშობლო ენა და ისტორია წმ. ნინოს სასწავლებელში 1876 წლამდის მასწავლებლად ამ საგნებისა იყო განსვენებული მღვ. სოლომონ ფირანოვი, მოსისხლე მტერი და მდევნელი ყველა ქართულისა: — ენისა, ისტორიისა, ჩვეულებისა და სხვ., ღვინოს გარდა.

(გაგრძელება)

წერილები რედაქტორთან

I

ბ. რედაქტორო! მე გახლავარ მეტივე გლეხი მცხოვრები სოფ. მეტეხში. ექვს ამავე თვესა მე წამოვიღე ტივი სოფელ მეტეხიდგან ქ. თბილისსა. რადგან წყალ-დიდობა იყო და ტივი ვერ იმუშავებდა, ტივი დავაყენე სოფ. ქასპის პირ-და-პირა. ვნახე ერთი ნაცნობი კაცი მცხოვრები ამა სოფელსა ტ. ბ—შვილი, რომელმაც მიმიწვია თავის სახლში. მასპინძელი იყო მწარეთ დალონებული. მე ვკვირობდი ქართველს კაცს ჰყავდეს სტუმარი და არ იყვეს მხიარული, რო არ შეიძლება. ბულმა არ გამიძლო და ეკითხე: ძმაო, რათ ხარ მოწყენილი?

„— ეჰ, ძმაო, ეხლანდელს დროსა ცოცხალნი როგორღა ვართ, დანდობა აღარ არის! წარსულს იქით წელსა თ. ნიკო ამილახვარმა შეასყიდვინა ვენახები ღირებულის ფასით თავის გლეხებს, რომელთანაც მეც მოწილე ვარ; მაგრამ ვენახის დამტკიცება არსაიდგან სჩანს; თუმცა ამილახვარი არ მოგვატყუებს, მაგრამ ჩვენ კი ჩვენი გვემართება: ერთხელ ვიყავით შეყრილი გლეხ-კაცნი ერთ საბძელთან და გვქონდა ლაპარაკი ვენახების თაობაზედ. ჩვენში ერია მოურავი ერისთავისა ბ—ძე, რომელმაც გვითხრა:—ძმანო რას სწუხხართ, ხუთ-ხუთი თუმანი გამოიღეთ, მომეცით, მე წავალ პოსრედნიკთან და დამტკიცებულ ქაღალდებს ჩამოგიტანთ. ისეთ ქაღალდს დავწერ და მივართმევო, რომ მუცელში წელებმა ხტუნაობა დაუწყოსო. ჩვენც ზოგმა ხარი გავყიდეთ, ზოგმა ცხენი და ზოგმა ვალი ავიღეთ, ოც-და-ათი თუმანი მივეცით ხსენებულს ბ—ძეს. ჩვენის ფულით მეორეს დღეს— იყიდა ქალაქი ვერცხლისა, ხანჯალი და შემოსა ცოლი. რამდენიმე ხნის შემდეგ უთხარით: რას გვიპირებ? პასუხათ გვიგებდა: დღეს, ხვალ. იმდენი დღე და თვე შეგემატოს, რამდენი დღე და თვე გავიდა. დღეს ნამდვილათ გამოგვიცხადა, რომ ოც-და-ათი თუმანი, რომელიც მე მივიღე თქვენგანო, არ მეყოო, ოცი თუმანიც კიდევ მომინდებაო. არ ვიცით რაში მოუნდება. დამტკიცება თუ ხარჯი სულ თ. ამილახვრისა არის. ან რაში მივეცით ოც-და-ათი თუმანი! მე რა ვქნათ? ნათქვამია: გლეხს ჭკუა ჰქონდესო, რქები ესხმისო! ხსენებული აზნაური ბევრს ცუდს საქმეს ჩადის, აქაურები სულ დაატყავა, ზოგისა ხუთი თუმანი, ზოგისა ათი თუმანი შეუჭამია. საკვირველი არის თ. ერისთავი როგორ ინახავს ამისთანა მოურავსა.“

ეს ამბები მეწყინა და მეც ვუთხარ: ძმაო, მოითმინე, რა მეტი ღონე გაქვს. მეც ამხანაგი ვარ შენი, მე და შენ ერთ შამფურზედ ვიწვით-მეთქი. ამ ერთის თვის წინათ ჩვენებური აზნაური ბ—შვილი შემხვდა და მითხრა ცეცხლი მომიტანეო ჩიბუხისთვისა. სპიჩკა მქონდა, გავკარ, აენთო. აკი ხელი დეეწო... იმაზედ მიკრიფა შარი, მიჩივლა და ერთხელ მიცემული ფული მეორეთ გადამახდევინა. მემართა ორი თუმანი.

ვიფიქრე, ეს შემთხვევა რომ ჩაიბეჭდოს გაზეთში და წაიკითხოს ხალხმა, იქმნება იმ აზნაურიშვილებს შერცხვეს და ფული დაგვიბრუნონ და შემდეგშიაც სინიდისზე ხელი არ აიღონ - მეთქი, — და მეც ამიტომ გწერთ.

ივანე მაზმიშვილი.

II

ბატ. რედაქტორო! თქვენს გაზეთ „დროებაში“ რომ წავიკითხე ბ. საკავეიის წერილი, რომლითაც ის გამოსარჩლებია ქუთაისელ კორრესპონდენტს, კუდა ხარის არაკი მომაგონ-

---

წვერებით ჯერ ისევ ჭაღარაა (თოვლი იდო): ქავკასიონის ღელეები და იქიდგან ღრიალით, ხუილ-ხუილით მომდინარე წყლები ლოპოტას ხევი სტორის ხევი, თვით ალაზანი, რომელიც სისწრაფით ჩამორბის პანკისის ღელიდგან ალაზანის ველზე, და მერე ილტო (უთო). პირ-და-პირ ქავკასიონისა ერთი ტოტი ზომბორის მთისა, რომელიც ალაზნის მარჯვენა მხრით, ხუთი ექვსი ვერსის სიშორეზე მისგან მოდის ვიდრე წმ. შიოს მონასტრამდე, და აქიდგანაც ჩამორბიან პატარა წყლები.

შიგ შუა ველზე ჩრდილოეთიდგან აღმოსავლეთ სამხრეთისკენ გაწოლილა ალაზანი. აქეთ იქით ნაპირებზე ამ მდინარისა განბნეულან დიდ-დიდი სოფლები, რომლებიც შორიდგან უფრო ქალაქებს ჰგვანან, რადგან თითქმის ყველა სახლები კრამიტით არის დახურული. ჩვენ წინ ჯეჯილი ღელავს; პატარა იქით ჭალები გაფოთლიანებულან. აგერ ძროხის ნახირი მოსდეპია მინდორს და ალაზნისკენ პირ-მიცემული მიდის. აგერ მწყემსიც სალამურს უკრავს, თითქო აჯავრებს იმ მრავალგვარ მგალობელ ჩიტებს, რომელნიც მოსდებიან ტყეღრეს და გალობენ თავის მშვენიერ სიმღერებს. აი „გუ-გუ!“ „კუ-კუ!“ გუგულისა. იქ გლეხები ერთად ბარვენ და მუშურს მღერიან. აქ მებაღეები სხლავენ და დამღერიან. სოფლის პირას ბავშვებიც ცელქობენ, დარბიან და სხვ. და სხვ.

ამ ნაირი იყო 13 აპრილს ახლად გაღვიძებული ბუნება ქახეთისა!

ჩვენ გავიარეთ რამდენიმე ვერსი და მივედით სოფ. იყალთოში, რომელიც მდებარებს ზომბორის კალთის ჰირში.

იყალთო იყო შესანიშნავი ადგილი. აქ ყოფილა მონასტერი, სწაელობდნენ ჩვენი ახალ-გაზდა ყმაწვილები, სხვათა შორის შ. რუსთაველიც. ამ მონასტერშია დაფლული წმ. ზენონი, ერთი 13-ტე სირიელთ მამათაგანი. მე-XI საუკ. მეცნიერი არსენი აქაური იყო.

აქედგან გავიარეთ მრავალი სოფლები: აწყური, რუის-პირი, ზემოხოდაშენი და სხვ.

ყველგან ჩვენი ხალხი, ამისთანა მდიდარ ბუნების მფლობელი, ღარიბია. სოფლები უწმინდური, სახლები არ ვარგები; ეზოებს ღობეები არა აქვთ, და შიგ ყოველგვარი უწმინდურობა მოიპოვება; პირუტყვები დასეირნობენ, აქ ბაღში სძოვს ცხენი, იქ კამბეჩმა გადაგლიჯა ღობე და შეეიდა ბაღში; აქ მუშაობს გლეხი: ზედ აცვია რაღაც ძონძები; ქალები ფეხშიშველა, სხვდან და რაღაცას ჩურჩულებენ. აი სახლი, რომლიდამაც მოისმის ერთი ხმაურობა, ღიღილ-სიეილი: ალბათ მოვალე ვაჭარი აღრჩობს მათ; იქ მიაჭენა ცხენი ერთმა კარაპეტამ და მარანის კარები გააღო... დიალ, ყველა ამიებიდგან სჩანს, რომ აქაური გლეხი ღარიბია და ამაში დამარწმუნეს ჩემმა თანა მოგზაურებმაც.

აი ალაევერდის მონასტერიც! ალაზნის აქეთ ნაპირზე, სტირის შესართავეს 5-6 ვერსტის ზევით, თელავიდგან 15 ვერსტის მანძილზე. მონასტრის სიმაღლე მიწის პირიდგან სამრეკლოს წვერამდე არის 32 საჟენი; სიგრძე 27 საჟენი და სიგანე 13. ამ დიდებული მონასტრის აღწერას უფრო მეტი იდრო, მეტი ადგილი, მეტი ცოდნ დასჭირდება, ვინებ მე მაქვს და ამიტომ მე ვსტოვებ მის აღწერას და ეხლა უბრუნდები ქ. თელავს.

(გაგრძელება)

და. ბ. საკაველს გონებია, რომ მე ვითომ უარ ვყოფდე 2 მაისს ორი გაფუჭებულის შაგირდის მოქმედებას და, ვითომ თავის იუმორიულ ნიჭის გამოჩენა უნდა, მეკითხება: „ბანა იმ ორმა შაგირდმა მარტო თავი დაგიკრეს და მეტი არაფერი“?

არა, ბ. საკაველო, მე იმას მოგახსენებდი, რომ იმ შაგირდების ბოროტ-მოქმედება იმ ნაირათ არ გამოხატულა, როგორც კორრესპონდენტს ეცნობებია ეს „დროების“ მკითხველებისათვის. მე მგონია, სხვებსაც ასე ჰქონდესთ გაგებული ჩემი წერილი; თქვენ კი თუ სხვანაირათ გაქვს გონება მოწყობილი და სხვანაირათ გაიგეთ, ეგ ჩემი ბრალი არ არის.

დასამტკიცებლად ჩემი ცხვირ-პირის ჩამტვრევისა თქვენ ამბობთ, ვითომ მე მქონდა „ხელის ოდენზე ორივეს მხრით დალილავებული ცხვირ-პირი“. ამაზე აი რას მოგახსენებთ: 2 მაისს მასწავლებელთა შესაკრებელ ოთახში მე მნახეს ყველა მასწავლებლებმა, სასწავლებელში ყველა მოსწავლეებმა და სასწავლებელს გარეთ ბევრმა სხვა გარეშე პირებმაც.

თუ ერთი მათგანი ვინმე აღიარებს ჩემ ცხვირ-პირის დალილავებას, მაშინ მე ვიქნები მტყუანი, თუ არა და თქვენ, კუთხეში მიმალულო და იქიდგან ტალახის მსროლელო ბ. საკაველო.

მე ვამბობდი, რომ ლოგინად არ ჩავვარდნილვარ, გულიდგან სისხლი არ მიფურთხებია, გაფუჭებული შაგირდები არსად გადაკარგულან და თავ-მოგლეჯილ მამებს არ უძებნიათ. თქვენ შეგიძლიათ, ჰკითხოთ ვისაც გინდათ ამ ჩემი სიტყვების სიმართლე.

ამას გარდა მე არც იატაკზე დავცემულვარ, არც ლოგინში ვწოლილვარ და არც ინსპექციის მოქმედება დამძიმებულა. რაში მდგომარეობდა ინსპექციის დამძიმება? ამის დასამტკიცებელად ბ-ნი საკაველი ვერაფერს იტყვის.

რაც შეეხება ჩემ აზრს გაფუჭებული შაგირდის გაუსწორებლობაზე, მე მქონდა სახეში, მაქეს და ვიტყვი, რომ შეიძლება შაგირდის გაფუჭებულობამ იმ ზომამდინ მიაწიოს, რომ შეუძლებელი შეიქმნეს მისი გასწორება. მე ახლაც გავიმეორებ, რომ იმ ზომამდი გაფუჭებული ყმაწვილის, როგორიც გახლდათ კაცების ჩეხაში გამოქნილი ქელბაქიანი: გასწორება ისე შეუძლებელია, რგორც არის შეუძლებელი კუზიანის წელში გამართვა.

უკანასკნელათ ვეტყვი ბ. საკაველს იმასაც, რომ, თუ მე ზოგიერთ შაგირდებს უწესოთ მოვექეცი, მითხარით მათი ვინაობა და მაშინ მოგცემთ პასუხს...

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის
ზედამხედველის თანაშემწე
ი. გაფრინდაშვილი.

ქუთაისი, 4 ივნისს

განცხადებანი

ანგარიში ჯიხაიშის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა 1880 წ. შემოსავალ-გასავლისა

პირველ იანვარს 1880 წ. იყო:

	მან.	კაპ.
1) წილის ფული —	5097	—96
2) შესანახავათ შემოტანილი — —	2,560	— „
3) ნასესხი — —	1,500	— „
4) სათადარიგო თანხა	163	—87
5) წმინდა მოგება —	1012	—41
სულ —	10,334	—24

ამ ფულებიდამ გასავალშიდ იყო

	მან.	კაპ.
1) გასესხებული —	10183	— „
2) ნაღდი ფული —	81	—24
3) ნივთი (ზანდუკი)	70	— „
სულ —	10,334	—24

1880 წელს

შემოგიდა

	მან.	კაპ.
1) წილის ფული —	740	— „
2) სარგებელი —	1059	—77
3) ჯარიმა — —	17	—72
4) დაბრუნებული სესხი	16,995	— „
5) შესანახავათ შემოტანილი — —	200	— „
6) სათადარიგო თანხა	280	—33
7) სხვა-და-სხვა შემოსავალი — —	47	—55
სულ —	19,340	—37

გასავალი

	მან.	კაპ.
1) წილის ფული გატანილი — — —	105	— „
2) მოგება წილზედ 1879 წლისა —	668	—37
3) გასესხებული —	16,293	— „
4) სარგებელი ვადაზედ წინეთ გადახდილი ნასესხი — —	16	—63
5) შესანახავათ შემოტანილი — —	1520	— „
6) სარგებელი შესანახავათ შემოტანილი	44	—17
7) სარხებელი ნასესხისა	23	—20
8) სამართველოს და სხვა ხარჯი — —	129	—85
9) აღებ-მიცემისა —	280	—33
სულ —	19,080	—85

პირველს იანვარს 1881 წ. იყო:

	მან.	კაპ.
1) წილის ფული —	5,732	—96
2) შესანახავათ შემოტანილი — —	1,240	— „
3) სათადარიგო თანხა	444	—20
4) ნასესხი — —	1,500	— „
5) წმინდა მოგება —	974	—90
სულ —	9,892	—63

ამ ფულებიდამ:

	მან.	კაპ.
1) გასესხებული —	9,481	— „
2) ნაღდი ფული —	341	— 6
3) ნივთი (ზანდუკი)	70	— „
სულ —	9,892	—6

პირველ იანვარს 1881 წ. რიცხვი ამხანაგობის წევრთა იყო 273 სული ორივე სქესისა, რომელთაც ქონდათ შემოტანილი წილის ფული 5,732 მან. 96 კაპ., მათ რიცხვში სრული წილის ფული ქონდათ შემოტანილი 46 პირს.

1880 წ. წმინდა მოგებისაგან ჩვეულებრივი კრების გარდაწყვეტილებით, რომელიც დადგინდა 24 მაისს ამა 1881 წელსა, მიეცა თვითეულ წევრს ამხანაგობისას დივიდენდათ წილის ფულზედ მანეთზედ 15 კაპ.

ამხანაგობა 1880 წ. განძავლობაში აძლევდა შესანახავათ მობარებულ და ნასესხს ფულს 6, 7 და 8% და თვითონ იღებდა 12%.

წევრნი გამგეობისა.
- რუბენ გიორგის-ძე ღოღობერიძე.
- მღვდელი ანდრია მოსეშვილი.
- ლევან მოსეს-ძე ცაგარეიშვილი.

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი საგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუსებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუბიკვინი ზეთისა) და სხვ. საგენტო-მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატეჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანას იგარები. (100—82)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიახტის და ჩინეთის პირველი მოწვეის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოტკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—82)

გამოვიდა „**დრო არის საქმეს შეუდგეთ**“ თხზულება ქრისტეფორე მამაცაშვილისა და „**ვაი მართალთა!**“ თხზულება **ანტონ ფურცელაძისა**, რომელნიც ისყიდებიან: თბილისს, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ბრიკეროვის წიგნის მაღაზიაში; ბორს მარიამ ქერესელიძის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისს ბერარდის წიგნის მაღაზიაში და თელავს ხორკლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი პირველისა აბაზი, მეორესი ექვსი შაური. (5—4)

თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულისა და „მმართებლობის კანონთა და განკარგულებათა კრებისა“ № 32-ში დაბეჭდილის თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის წესდების საფუძვლით, ამ ბანკის გამგეობა საყოველთაოდ ატყობინებს:

1) მოსპობილია სესხის გაცემა და გირავნის ფურცლების გამოცემა იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია 28 მაისის 1874 წლის ბანკის წესდებაში; მაგრამ უკვე გამოცემულ გირავნის ფურცლების შესახებ დაცული იქნება იგ წესები, რომელნიც ზემოხსენებულს ბანკის წესდებაშია

2) ახალის, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის წესდების ძალით, ბანკს უფლება აქვს მინიჭებული შემდეგ გუბერნიების ფარგლ ქონების გირავნობით გასცეს სესხი: თფილისის, ქუთაისის, ერევნის, ბაქოს, განჯის (ელისავეტპოლის) და სოხუმის სამხედრო მაზრისა.

სესხი გაიცემა გირავნის ფურცლებით, რომლის თავდები და პასუხის-მგებელი იქნება ბანკში დაგირავებული ყველა უძრავი მამული.

4) სესხი გაიცემა: ა) ადგილ-მამულის გირავნობით $54\frac{1}{2}$ და $43\frac{1}{2}$ წლით და ბ) ქალაქის უძრავ მამულის გირავნობით—$27\frac{1}{2}$ წლითა და აგრეთვე 18 წლითა და 7 თვით.

ხანგრძლივ სესხისათვის სესხის ამღები მოვალეა ყოველ ექვს თვეში შემოიტანოს ბანკში სამი პროცენტი აღებულის სესხისა და ამას გარდა $\frac{2}{3}$% სათადარიგო და უჩვეულებრივი თანხის შესადგენად და ბანკის გამგეობის ხარჯისათვის.

ბანკის ვალის გადასახდელად სესხის ამღები მოვალეა ყოველ ექვს თვეში შემოიტანოს: $54\frac{1}{2}$ წლით აღებულს ვალში—$\frac{1}{8}$% პროცენტი აღებულის სესხისა, $43\frac{1}{2}$ წლით აღებულს ვალში—$\frac{1}{4}$%, $27\frac{1}{2}$ წლის ვალში—$\frac{3}{4}$% და 18 წლითა და 7 თვით აღებულს ვალში—$1\frac{1}{2}$%.

5) ვისაც ჭსურს ბანკიდამ სესხი აიღოს, ვალდებულია წარმოადგინოს ბანკის გამგეობაში: ა) ჯეროვან სასამართლოის უფროს ნოტარიუსის მოწმობა, რომ მამული სესხის ამღებს ეკუთვნის, ბ) ადგილის ბლანი, თუ აქვს, გ) დაწერილებით შედგენილი აღწერილობა მამულისა და დ) თხოვნა, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის ბანკის წესდების თანახმად, რომელშიაც მოხსენებული უნდა იყოს-თუ რამდენი ჭსურს აიღოს სესხად და რა ვადით. ქალაქის უძრავ მამულების დაგირავების დროს ამ დოკუმენტებს გარდა წარმოდგენილი უნდა იქნეს კიდევ სტრახის პოლისი, ე. ი. მოწმობა, რომ ის მამული ტეტლის საზღვეველ საზოგადოებაში არის შეტანილი. სესხის აღების თხოვნასთან უნდა იქნეს წარმოდგენილი დასაფასებელი ხარჯი: ქალაქის მამულებისათვის—1% და სოფლის მამულებისათვის $\frac{3}{4}$% პროცენტი იმ სესხისა, რომლის აღებასაც თხოულობს. (10—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Іюня 1881 г. ТипографіяС. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი